

სასოფლო-გაზეთი

გაზეთის ფასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნულათ:
და გარეშე ადგილებში:	მან.
მართის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3	— 2
სამს თვისა — 1 მან.	— 1 მ.

პირველი წელიწადი

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაძის სახლში, პოლიციის-გვერდით; ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწერა: ВЪ Тифлисъ, въ контору редакцій „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЫ“, при типографіи Меликова № 1.

ყოველ გვერდი განცხადებაში სასოფლო-სასამართლო-გებისა და აგრეთვე ვაჭრებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 6. შაბათი.

II.

22 მარტი 1869 წ.

შინაარსი:

სამეცნიერო ამბები: მზის სითბო-თი აღუღება; ლამფის სინათლის მოქმედება თვალზე. — სასოფლო-სახლ-ოსტო-ვის ნაწილი: მარცხლის ამკრეფი მაშინები უფ-მალასენკოსი და ბლოჟინისისა. — იპოვების აღმოჩენა (მისის) ხორბალი. — რძე და რძის ნივთები. შრანციაში. — შესანიშნავი ფური. — ქარტაფლის სიმწიფის ნიშნები და იმისი გა-მოსვლის გაბეჭობა. — შიმშილის მოლოდინი მგვიტეში. — ბაჟის აღება ამერიკაში. — ბეს-ტრალიაში ცხვრების მაშინებით ბანა. — რუსე-თის მატყლით ვაჭრობა. — სარატოვში მკის და-გვიანება. — რუსეთის სამოსახლო კომისიონე-რობა. — სავაჭრო მონაწილეობა. — მოვლა ახა-ლი დაბადებულისა და ძუძუთა ყმაწვილისა. — სავაჭრო ამბები.

საქმეწირო სწავლება.

მზის სითბოთი აღუღება.

მრთ შრანცუზის გაზეთში არის მუშოს სტატიის ნაწილი მზის სითბოთი აღუღებაზე ანუ „ზოგიერთ მხარეში შეშის მაგიერათ მზის სითბოს ხმარებაზედ“. ჩემი გამოცდით ძალიან ადვილათ შეიძლება მზის სითბოს მოხმარება, ასე რომ რაც მიწაზედ მზიდან სითბო ჩამო-დის, სულ რომ ხუთათ გაიყოს, სამ ნაწილს სრულათ მოიხმარებს კაცო, ამბობს მუშო. მრთი ადლი სიმგრგელით ადგილი მინუტში შრანციაში იმთენს სითბოსა ჰკრეფსო, რომ ათი გირვანქა ცივი წყალი აღუღდება იმითაო. მკი კვადრატის საყენი ათ საათში იმდენს სითბოს ჰკრეფს მზის სხივებისაგან, რომ რვა ფუთი ნაწილი იმდენს ვერცკი გამოსცემს. ამის შემდეგ აღარ უნდა ჰქონდეთ შიში,

რომ ქვის ნახშირი ილევა. ამასთან მზის სიცხარე უფრო ძალიანი არის ხამხრეთისაკენ; შეუძლებელი არ არის, რომ შემდეგში მზის სითბოს მიმდებლები შეიძლებენ ისევე მოი-ხმარონ ეს მუქი ბუნების ღონე, როგორც ახლა ხმარობენ წყლებსა, რომლის პირებზე-დაც ახლა არიან გამართულნი წისკერის ჩა-რხები და ქარხნები; იქნება მოვიდეს დრო, რომ სახარის მინდორზე დიდრონი ქარხნები გაიმართოს, რომლებსაც ამუშავებდნენ მზის სითბოთი.

თუმცა მუშოს უკეთესი გარემოებით არ გამოუტლია მზის სითბო, მაგრამ 1861 წელს ის აბრუნებდა ალექსანაში, რენაში, ტურ-ში და პარიჟში მზით მაშინასა, რომელიც ბრ-უნამდა გამთბარის ორკლით. იმას აგრეთვე ადვილათ აღუღდება წყალი მზის სითბოთი. მუშოს ერთი ვერცხლ გადაკრული რეფლექტორით (სარკით), რომელსაც ერთი კვადრატის ადლი სიერცე ჰქონია, სამი გირვანქა წყალი ორთქლათ უქცევია საათ ნახევარში 1866 წელსა; სხვაფერ ამ იარაღით ერთ მი-ნუტში გაუკეთებია ჩემდემტი კუბის ადლი ორთქლი. მუშოს გარდა ამისა მზის სითბო უხმარებია სხვა საგნებისათვისაც; მაგალითათ გამოუხდია სპირტი, გოგირდი გამოუღენია, ხორცი მოუხარშავს, გამოუცხვია პური და სხვა მზის სითბოთი.

ლაშვის სინათლის მოქმედება თვალზე.

თუმცა ახლა გამრავლებული არის ხელო-

ვნებითი სინათლის წყაროები, მაგრამ ყველ-გან უჩივიან იმთა, რომ თვალს ახდენსო და ვერც მზის სინათლის ადგილს იჭერსო. დიდი ხანია რაც ცდილობდნენ გაეგოთ ამისი მი-ზეზი და მოსპობის საშუალებაც ეპოვათ. შეე-ლამ იცის, რომ ყველა ხელოვნებითი სინათ-ლის წყაროებში ბევრი ყვითელი და წითელი სხივები არის, რომელნიც უფრო უმეტესად აწუხებენ თვალს. მეონათ ამაში შესდგება მავნებლობა ხელოვნებითი სინათლის წყა-როებისა. მაგრამ არ არის ძნელი სანთლებ-ში ამ მავნებელი ფერების გაწვევა. ცელ-ნერმა გამოიკვლივა, რომ მინებში გატარე-ბული სანთლის სინათლეს სრულებით თეთ-რი ფერი აქვსო, ასე რომ მზის სინათლეს არ ერჩევაო. მაგრამ მარტო სხივების ფერო-ვნება არ არის მიზეზი ხელოვნებითი სინათ-ლის მავნებლობისა. მართლათაც ნათის ლამ-ფის სინათლე უფრო წმინდა არის, ვიდრე ზეთის ლამფისა, მაგრამ პირველი უფრო მავ-ნებელია, ვიდრე სხვა ყველა გვარი სინათლის წყარო. მაშ რა არის ამისი მიზეზი?

ნათლის ღენას მოსდევს ყოველთვის სით-ბოს ღენაცა; მაგრამ ზომა კი ერთისა და მე-ორისაც სხვა და სხვა არის. მზის სინათლეში ნახევარი სითბოს სხივები იმავე დროს სინა-თლისაც არიან; ზეთის ლამფის ალში კი ასი ნაწილი სხივებიდან ოთხმოცდა ათი სულ სი-თბოს სხივები არის და მხოლოდ ათი ნაწი-ლი სინათლისა. თეთრათ გახურებული პლა-ტინის სხივებში ოთხმოცდა თერამეტი ნაწი-ლი სითბოსი არის; სპირტისაში ოთხმოცდა

ცხრამეტი ნაწილი სითბოსი არის; ელექტრის სინათლეში ოთხმოცი და გაზისაში ოთხმოც- და ათი. მაზის ლამფა როგორც დაიწყებს კარგა განათებას, მაშინვე იწყებს ძალიან დიდს სითბოს დენას; აქ სინათლე იმისაგან არის, რომ გაზში ნახშირგვარის ნაწილები თეთრათა ხურდებიან; ასევე არის სხვა ხელოვნების სინათლეებში: ამისაგან თუმცა ალის შუაგულში სითბო ცოტადედა, მაგრამ გარშემო კი უფრო უმატება სითბოსა.

ბრწყინვალე ნათის ალსა აქვს ძალიან დიდი სითბოს დენა; იმისი სითბოს ნაწილი არის ასიდგან ოთხმოცდა ოთხმეტი ნაწილი.

ეს სითბოს სხივების უმეტესობა არის მერე მიზეზი, რომ ხელოვნებითი სინათლეები არიან თვალისათვის მანებდენი. მგრამ არიან საშუალებანი, რომლითაც შეიძლება წაერთათ ამ სინათლეებს სითბო. შინდა და თეთრს შუშაში ცოტათ გადის შვეი სითბოს ეები. და თუ შუშას მერე მხრიდგან შაბი მიეკრა თხლათ, მაშინ კი სრულებით აღარ გავა სითბოს სხივები.

სასოფლო-სამეურნეოს ნაწილი

მარცვლის აკრეფი მაშინები უ. ვლას-ენაოსი და გლუმილინისა.

რუსულს „მიწის-ხენის ზაზეთში“ და ჩვენს „სასოფლო ზაზეთში“ იყო ცნობა უფ. მლასენკოს მარცვლის აკრეფი მაშინაზე; ახლა ამ მაშინაზე უფ. ნ. ტიმაშევი „მიწის-ხენის გაზეთის“ მერე ნომერში ამბობს შემდეგს: „მიწის ხენის გაზეთის 1869 წლის პირველ ნომერში გვაცნობდენ, რომ სამოსახლო დეპარტამენტში წარსულის წლის დეკემბრის თვრამეტში შემოვიდა ნასწავლი მართველი მლასენკოს თხოვნა, რომელშიაც თხოულობდა, რომ იმისათვის მიეცათ პრივილეგია სამკელი და სალენი მაშინის პირველათ მოგონებისათვის. ამ მაშინას ჰქვიან: „ცხენის ძირზევე მარცვლის აკრეფი მაშინა“. შემდეგ მეთვე გვერდზე არის იმისი ცნობაც, რომ ვითომც ერთი სამარის გუბერნიის მოსახლე, უფ. მლუმინინი, სამი წელიწადია რაც ცდილობს, რომ მოიგონოს ამ გვარივე მაშინა; ახლა ეს მაშინა თუმცა მზათ არის, მაგრამ წარსულს წელში ვერ შეიძლო გამოცდა იმისი. უფ. მლუმინს დიდი იმედი აქვს მ მაშინასა და ამბობს, რომ ესაც დიდი ნა-

ხანეები აქვს, იმათთვის ძალიან სასარგებლო იქნება ეს მაშინა და გარდა ამისა მოსახლენიც მუშების მოტყუებისაგან არ იქნებიან შეწყუბულნი.

„უფ. მლასენკოს მარცვლის ასაკრეფი მაშინა შარშან გამოცეცადნათ ტვერის გუბერნიამ პურზე და ქერზე და კარგათ მოემკო და გაელენა კიდაც; მაგრამ ის გამოცეცადნათ ენკენის თვის ნახევარში. ეს იმისთანა დრო არის, რომ მაშინის სასარგებლოთ არაფერს ამბობს, ამიტომ რომ ყანა დიდხანს მდგარიყო და რასაკვირველი მარცვალი სულ გასცვიდებოდა თითონვე.

„მართალია გადვილება მომკისა და გალენისა მიიზიდადა უფ. მლასენკოს და მლუმინინს მაშინის მოგონებისათვის და ბევრს შრომასაც გააწეინებდა. უფ. მლუმინინს სამი წელიწადი დაუკარგავს; არც თუ მლასენკო დაკარგავდა ნაკლებს ძვირფასს დროსა მაშინის პროექტებისა, მოდლებისა და სრულის სიღრმით გაკეთებისათვის.

„ჩემის მხრით იმედი მაქვს და ვეცდები მოსახლეებსაც დაუმტკიცო ამ სტატიითა, რომ უფ. მლასენკოს და მლუმინინს ტყუილათ უშრომიან; თუ კარგათ გამოვიკვლევთ მომკისა და გალენის პირობებსა, მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იმათი მაშინები არ იქნებიან ხანგრძლივი, და ცოტას ხნის ლტაცების შემდეგ მალე გაიგებენ იმათი მაშინების უსარგებლობასა.

„უფ. მლასენკოს და მლუმინინს ჯერ რომ პურის მოსამკელი მაშინების ისტორია კარგათ ესწავლათ, მაშინ რასაკვირველია აღარ შეუდგებოდნენ ამ მაშინების მოგონებას; განა ერთხელ ხომ არ შესდგომიან სამკელი მაშინების მოგონებასა, მაგრამ, რადგანაც არა ყოფილან სახეხო, თავი დაუწებებიათ; მაშასადამე ამათ რომ მართლა ესწავლათ ეს ისტორია, მაშინ თავიანთ შრომას მოიხმარებდნენ უფრო სასარგებლო საგნისათვის.

„ეს მართალია, რომ ახლა მეხანიკა ისეთ წარმატებაში არის, რომ ძირზე პურის მომკა და გალენა შესაძლო არის. მაგრამ ამგვარი მაშინა სასარგებლო იქნება სასოფლო-სამეურნეოსათვის თუ არა? ამაზე შეიძლება ეჭვი და დარწმუნებიათ ციტყვით, რომ არ იქნება სასარგებლო და ეს მაშინები თავის დღეშიაც არ შეეღწე ხშირებაში და არც შეი-

ცნებიან სასარგებლო სასოფლო-სამეურნეოსათვის იარაღებაში.

„ახლა გავსინჯათ ეს მაშინები მეხანიკურის მხრით კი არა, სრულებით სხვა მხრით. ჯერ რომის სასოფლო-სამეურნეოსათვის მწერალი, ძოლუმელა, ასწავლიდა მოქალაქეებსა, რომ „პრაფერი არ არის მხენელ მთესველო-ბაში ისე მანებელი, როგორც ყანის მომკის დაგვიანება. პირველათ იმიტომ, რომ ბევრი მარცვალი მიიქვს ფრინველსა და სხვა პირუტყვსა; მეორეთ იმიტომ, რომ მარცვალი თითონა ცვივა და რომ ძალიან შემოდის, თავთავი ემტრევა; ბოლოს იმიტომ რომ დიდრონი ქარები აწვენენ მიწაზე ყანასა. ამ მიზეზების გამო პური უნდა მომკონ დროთი და უნდა დაიწყონ მაშინ, როდესაც ღეროები უყვითლდებათ; არც იმას უნდა დაუცადონ, რომ მარცვალი გამაგრდეს; მარცვალი მერე ხელეურობშია შემოვარა. ასე უფრო კარგია ვიდრე ისა, რომ ძირზე შემოვიდესა“.

„ამ რომის სასოფლო-სამეურნეოსათვის მწერლის დამტკიცებებს უნდა დაუმტკიცო ერთი მიზეზიცა პურის აღრე მომკისათვის, რომელიც უფრო საჭირო არის. ჩვენ ვიცით, რომ მარცვალი ამსებიდგან შემოსვლამდე ორ ძალიან საფუძელიან ცელილებას ეძლევა: ჯერ მარცვლის შაქარი ხდება სახამებლათ და მერე ეს სახამებელი გადდის პურის ქერქათ. რამდენიც მარცვალი უფრო მწიფდება, იმდენი ამ ნოყიერი ნაწილისა გადდის ქერქში, რომელიც სქელდება და ხეფდება. მერე ეს გახეფებული ნაწილი მიდის ქატოთ ან დაფქვისა ან გაცრის დროს. რამდენიც პური უფრო ძლიან არის შემოსული, იმდენი უფრო მომატებული ქატო აქვს და ფქვილი კი ცოტა გამოსდის. ეს გარემოება ჩნდება მხოლოდ იმ ხორბალში, რომელიც ძირზე მწიფდება; და თუ პური არის მომკილი იმდროს, როდესაც თითებშუა ისრისება, როგორც წინდა სანთელი, და მერე ხელეურობში მწიფდება, მაშინ შაქარი სულ სახამებლათ იქცევა ხოლომე, რომელიც მერე მაგრდება და არც ხშირათ იცვლება ხის ქერქსავით მარცვლის გარშემო.

„ამ გვართ უკანასკნელი მიზეზი და ძოლუმელას მოყვანილი დამტკიცებები, რომლებსაც ჩვენს დროში სრული ღონე აქვს, მკვიდრათ გვარწმუნებენ, რომ პური მალე უნდა მოიმკოს; იმის სარგებლობას ყოველ წელს



და ყველგანა გრძობენ. ადრე მომკიდ მარცვლი თითქმის სრულდებით არა სცვივა თავთავს; ამასთან მარცვლი არის თხელი კანიანი, ფქვილიანი და დაფქვაშია ცოტა ქატო უდგება; დათესაშია ის ხორბალი, რომელიც ადრე არის მომკილი, კარგათ ამოდის და იზდება, ვიდრე ძირზე დამწიფებული.

რადგანაც ზემო მოყვანილი აზრები ნამდვილი არიან ყველგან და ყოველთვის, ამიტომ უნდა ესთქვათ, რომ ჯერ პური უნდა მოამკოს და მერე ხელეურებში შემოვიდეს და ისე გაილწოს. ეს მოთხოვნა უეჭველათ უნდა ასრულდეს; და თუ მომკელი და გამლგწი მაშინით მოგჭრით ყანას ასე ადრე, მაშინ პარცვლი დაიქვლიტება და არც ზომიერი წონისა და სახისა იქნება. ამასთან რაგინდ კარგი გამართულებისა იყოს მაშინა, მაინც უნდა დასრისოს მარცვლი, დაამტერიოს და ქართოს ის თვისება, რომელიც საჭირო არის რესლისათვის.

სრულდებით სხვა გარემოება სწნდება მაშინ, როდესაც პურს ნახვარ მწვანეთვე მომკით და მერე ხელეურებათ დაეწყობთ. ლველთვის იმ დროს უნდა მოამკოს პური, როცა ღერო ძირიდან ნახევრამდინ გაყვითლდება; მაშინ მარცვალს მიწიდგან აღარ მიდის სინოკიერე, მაგრამ რაც ღეროში სინოკიერე კიდევ არის დარჩომილი იმას სრულდებით ჰკრეფს და ისე შემოვა ხოლმე, რომ ღარ ეშინიან დასახიჩრებისა შემდგის გალენისაგან.

ისიც რომ არა ესთქო, რომ ამ მაშინას იდეე სხვა მიშველება უნდა, მაგალითათ ამჯის მოთიბა, რომელიც საჭირო არის მოახლობაში, მაინც დარწმუნებით და მკვირათ შეგვიძლიან ესთქოთ, რომ უფ. მლანკოსი, და ზლოუმინის მარცვლის ასაკრეფი აშინები არ ვარგანან საქმეში, და უნდა მიჯნენ დაიწყებასა, როგორც გამოუდგარნი. მგონია ამაზე ყველანი დამეთანხმებიან, ანკი მიადენა გულის ყური ჩემს დამტკიებაებსა.

აპონის ადრეულა (მაისის) ხორბალი.

(პიქოს სტატიიდან)

ლოკტორმა მურიემ იპაონიიდან გამოუბანა პარიჟის სასოფლო სახლოსნობის საზადროებს ცოტა ხორბალი. ეს ხორბალი

პირველის შეხედვით ცუდსა ჰგვანდა; სრულდებით შავი იყო, უთუო ნახშირისაგან, რომელშიაც იყო არეული. (იპაონელები ყველა თესლს დანაყილს ნახშირში ურევენ და ისე გზავნიან მეროპაში; ასე თესლი კარგათ ინახება). ამ ხორბალზე ეწერა ძალიან ადრეულა და მალეც ამოდისო, როგორც იპაონელები ამბობდნენ, ეს ხორბალი მაისში უნდა შემოსულიყო და რადგანაც ბევრს საუკუნეს გაუფლიო, რაც ეს ხორბალი მოდის და გვარიც არ უცელია, ამიტომ არც შემდგეში უნდა შეიცვალოსო; ამიტომ ეს ხორბალი ეკუთვნის სამუდამო ერთ წლოვანთ მცენარეთა. ნოემბრის თხუთმეტს 1867 წელს იმითი დაითქა ორი კვადრატის საყენის ოდენა კარგათ შემზადებული მიწა. ეს ხორბალი ძალიან მალეც ამოვდა, თავს ქვეშეც კარგათ გასძლო და იანვარში დათბერვალში 1868 წელს აიტანა დიდრინი ყინვები. მერე კარგათ იზდებოდა და ჯაგდებოდა; აპრილის ათში პირველი თეთავი ამოუვიდა და თხუთმეტამდ იყო სრულს ყვავილში; მთლი დათსლი ადგილი წარმოგვიდგენდა მშვენიერს სამხერსა. ღერო ძალიან მალალი არა ჰქონდა; იქნებოდა ერთ ადლამდე. თუმცა ეს ხორბალი ძალიან თხლათ დაითესა, მაგრამ ისე გაბორჯდა, რომ ცარიელი ადგილი აღარსად იყო დარჩენილი. აპრილის ბოლოს ყანას აღარ ეტყობოდა ყვავილი; სულ დასცივირდა. მთელი მაისი მარცვლი კეთდებოდა, იესებოდა და მწიფდებოდა; ოცში და ოცდა ხუთში შევიძელ რამდენიმე მარცვლის გამოღება. მრთი ძირი ამოვიდე მიწით, ჩავსვი ქოთანში და რუინის გამოფენზე წავიდე; სადაც მომსვლელები ხელვდნენ შემოსულსა. ბოლოს თიბათვის რეაში ეს ხორბალი სრულდებით შემოსული და მოსამკელი იყო; მაგრამ მე ბევრი ვერ მოვაგროვე, რადგანაც სულ ჩიტებს დაეჭამათ.

როგორც უნდა მომხდარიყოს, მაინც იპაონიიდან გამოგზავნილი ხორბალი მართლათ მაისისა გამოდგა: ეს ხორბალი ორი თვით ადრე შემოდის, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენში ვთესავთ. თუ ეს ხორბალი გვარს არ შეიცვლის, მაშინ ძალიან სასარგებლო რამ იქნება ჩვენის მხრებისათვის. მაშინ გამოიწერენ ძალიან ბლომათ და გაავრცელებენ ყველგან. იმედიც არის, რომ ამ ხორბალმა გვარი არ შეიცვალოს, ამიტომ რომ იპაონიანი

რამდენიმე საუკუნეა, რაც შემოსულია სთესვენ და გვარს არ იცვლის.


ეს ხორბალი ბევრის მხრით იქნება სასარგებლო. მაგალითათ ყველგან არის იმისთანა ადგილები, რომელზედაც იმისთანა ხორბლის დათესა არ შეიძლება, რომელიც მარიამოზის თვეში შემოდის, ე. ი. მკათათვის გასულოს. ამ დროს იწყებს გვალებსა და ხორბალი ველარ იზდება. მგვალივანი ალაგებისათვის ეს ხორბალი ძალიან სასარგებლო არის, ამიტომ რომ ვიდრე გველეა დაიწყებს, იპაონის ხორბალი შემოსულიც იქნება.

ზრდა ამისა ყოველთვის პურის ნაკლულე ვანება არის ხოლმე, თუ ერთგან არა, სხვაგან უთოთ. შევლამ იცის, რომ მაისიდან მომკამდე პური უფრო ძვირდება. მაშინ შეიძლება მთელი წლის მოსავალი დაენიშნათ პირველი ათ თვეში საკვებათ, და მერე მაისის ხორბალიც შემოვიდოდა. ამ გვარი ქცევის სასარგებლოთ ამბობს ისა, რომ ამერიკაში ავრ ოცი წელიწადია რაც ყოველწლიე ასი ათას დღიურებს სთესვენ მაასის ხორბლით (Mai Treu), რომელიც იპაონის ხორბალზე სამი კვირით იგვიანებს.

შემდეგ მაისის ხორბლის გავრცელების იმედი არის, რომ მეროპა და ყველა, ვინც კი შეიტანს ხმარებაში ამ ხორბალსა, მოჩინენ იმ უბედურებათა, რომელნიც მოსდით შიმშილისაგან. ამ ხორბლის გავრცელება იქნება უფრო სასარგებლო იყოს კაცისათვის, ვიდრე კალიფორნიიდან ანუ აესტრალიიდან ოქროს შემოტანა.

რძი და რძის ნივთიერი ფრანციაში

ფრანციაში ისეთი დიდი მოთხოვნილება არის რძისა, ერბოსი, ყველისა და სხვა რძის ნივთებისა, რომ აქ უფრო ბევრს საქონელს აშენებენ, ვიდრე ანგლიაში; ახლა ფრანციაში ეყოლებათ ხუთ მილიონამდე ფურები. ღებარტამენტები: ძალვადოსი, ლამანში, შვეითა სენისა, ლუარა, ჩრდილოეთისა და მოგვებისა ყველაზე ბევრს რძეს იღებენ. მარტო პარიჟი დღეში ორმოცი ათასს ეღრავ რძეს ხმარობს. ბუჟილიკა ნახევარი შაურიდან ორ შაურ ნახევრამდე ისყიდება; ფასი უფრო ადგილზე და სიკეთეზედ არის დამოკიდებული. რძეში ხშირათ მეოთხედს ან მეხუთედს წყალს უმატებენ; თუმცა ყოველის გზით ცდი-



ლობენ, რომ რძეს უწყლოთა და ნაღებით ჰყიდდნენ, მაგრამ ეს არა სრულდება,

რკინის გზებმა ძალიან გააღვიწყეს დეპარტამენტებიდან რძის მოტანა. პარიჟისა და ლიონის რკინის გზებზე ართმევენ ბუთილიკა რძეში შუა რიცხვით ორ გროშს მთელი გზის ფასს. მერე რძის გამგზავნელისათვის უფასოთ მოაქვს უკან თავისი თუნუქისა ანუ თიხის ჭურჭელი; ამ ჭურჭლებში ჩადის ოცი ბოთლი რძე. პარიჟში რძე მოაქვს ასი ვერსტიდგან, მაგრამ აღმოსავლეთის გზაზე ას ოთხმოცი ვერსტიდგანაც მოაქვს. ამ გვართ პარიჟში სხვა ადგილებიდან მოაქვს დღეში ოცდა რვა ათასი ვერამდე რძე; რასაც შიშ ქალაქში და ახლო ადგილებში სწველენ, ისიც სხვა არის. რძეს რკინის გზებზე ლამითა გზავნიან, ასე რომ დილის ორ საათზე პარიჟში შემოდის და ექვს საათამდე მთელს ქალაქს მოფენება. საცა ერთათ ბევრს რძესა ჰყიდიან ფერმებში, იქ ბოთლს ნახევარ შაურათ აძლევენ, მერე მომტანები ჰყიდიან შვიდ გროშათ; წერილათ გასყიდვაში კი შაურიდან ორ შაურამდე ისყიდება ბუთილიკა.

რასაკვირველია ყველა ფური ერთნაირათ არ იწველის. მაგალით. უფ. შიევე, რომელმაც ჩილილოეთის დეპარტამენტში გამოფენაში დიდი საჩუქარი მიიღო, ამბობს რომ მთელი წელიწადის ანგარიშით თითო ფური დღეში რვა ბოთლს რძეს აძლევსო. მაგრამ ნაწველი სიბევრითაც და სიკეთითაც განირჩევა ერთმანეთიდან. მთხი ფური ერთ ნაირ საჭმელზე მეყენა და იწველიდნენო:

ფური ერთ კვირაში მონაწველი	დღეში	ასი ბოთლიდან	ერბო.
1.	150	ბოთლი 21,5	ბოთლი 6 ბოთ.
2.	130	— 18	— 5 —
3.	133	— 18,5	— 4 —
4.	128	— 17	— 3,5 —

შუინ პარიჟში რძეს, ნაღებს, ყველს და ერბოს ბუკლის დუქნებში ჰყიდდნენ; მაგრამ მერე ისე გაიზარდა მიწობილება, რომ ამათვის ცალკე გაიშარათა დუქნები. საცა ბ. ვრს ერთათ ჰყიდიან, ის დუქნები არიან დიდრონი მეიღნების ახლოს; ამათი დიდრონი მსყიდავები არიან კანდიტერები და მეტრაკტირები. წერილი ერბოს, კვერცხებს და ახალ ყველს ვაჭრები კი მთელს პარიჟში არიან დაფანტულნი და ჰყიდიან; ზოგი დანიშნული დეპარტა-

მენტების რძესა და ყველს ჰყიდიან. პარიჟში მხოლოდ ერთ გვარს ყველს აკეთებენ, რომელსაც შვიციტრისას ეძახიან. ეს არას წერილი კვერულები და საცა აკეთებენ, იქ მაშინვე ჰყიდიან. 1860-ში ათასი კაცი სჭამდა ჰურს რძის ნივთების გასყიდვით. პარიჟში ყოველ წელს ორმოცდა თხუთმეტი ათასი ფუთი ყველი იხარჯება; ერთი ამოდენაც სხევან მოაქვს. ნამდვილთან სწორე იქნება თქმა, რომ შრანცია წელიწადში ერთ მილიონ ფუთ ყველსა ხმარობს.

რამდენიც ხალხი ემატება, იმდენი ყველი უფრო ბევრი იხარჯება. შასები ასეთი არის ყველზედ: შიელისა, სახელათ ბრუერისა, ფუთზე ხუთი მანეთიდან, ექვს მანეთამდე; როკსფორისა ათი მანეთიდან, თოთხმეტამდე; სტემონსელისა თუმნიდან, თუმან და ათშაურამდე. ხმელ ყველზე იჯარას ართმევენ ფუთზე ორ აბაზს.

როკფორის ყველს აკვირონის დეპარტამენტში აკეთებენ. აქ როკფორის ახლოს სძოვს 400,000 ცხვარი, რომლისაგანაც 250,000 მოწველვა; აქ 1868-ში აკეთებდნენ ორასი ათას ფუთ ყველსა, რომელიც ფულათ ერთ მილიონსა და ოცი ათას თუმანს იზავს.

შესანიშნავი ფური.


მრთს პრუსიის გაზეთიში ეწერა: ამ ცოტა ხანში ერთი ფური გაიყიდა დასაკლავათ მედრეგოფის მამულში სკოლბუკის ახლოს (რუსეთის სამძღვარზედ), რომელიც ცამეტი წლის გარმაველებაში (1859-დან ნწ-მდე) ყოველ წლიე სამას სამოც ვედრა რძეს იწველიდა და 1865-ში გაზაფხულზე მოიგოვო და დღეში ორ ჩაფს იწველიდა; ამ დროს პატრონი თურმე დღეში ოთხჯერ სწველიდა. ეს ფური იყო ბოლმიტინის ჯინშისა. იმის ჩამომავლობაც მსხვილი და მკვიდრი არისო, მაგრამ ისე მწველელი კი არა.

ქ ა რ ტ ო ფ ი ლ ი ს ს ი მ წ ი ფ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი და ი მ ი ს კ ა მ ო ს ა ვ ე ლ ი ს გა ბ ე ვ რ ე ბ ა .

საქსონიაში არის ერთი უცნაური კანონი: კათათვის ოცდა ხუთზე ადრე უშლიან ახალი კარტოფილის გასყიდვას მეიღნზე, იმ საფუძვლით, რომ ვითომც ამ ვადაზედ ადრე კარტოფილი არ არის შემოსულიო. მრთი იქაური გაზეთი ჰკიცხავს ამ კანონსა და კარ-

ტოფილის სიმწიფის შეტყობაზედ ამბობს შემდეგს: ქარტოფილი მწიფე არის, როდესაც იმის პარკში ზომიერი სახამებელი გაკეთდება: როდესაც კარტოფილის ღერო შემოვა და დაიწყებს გაყვითლებას; როდესაც ზემოთა ღეროებს ველარ შეუძლიანთ ჰაერიდან მიიღონ საზრდო; როდესაც ძირის აღებში კარტოფილები ადილათა სციევა პატარის დაქნევითა; როდესაც მოხარშული და გაჭრილი კარტოფილი საპონივით კი არ არის, მშრალია და იფშენება. ში მართლათ ნამდვილი ნიშნები კარტოფილის სიმწიფისა. შა ის ნიშნები კი, რომლითაც ზოგიერთნი არჩევენ კარტოფილის შემოსვლასა, რომ ვითომც მოხარშვაში კანი უნდა დაუსქდესო და თითონაც ღრმათ უნდა გაიპოსო — ტყუილი არის. შს ნიშნები მხოლოდ იმას მოასწავებენ, რომ კარტოფილი იმ ჯინსისა არის, რომელთაც თხელი კანი აქვს და შიგნითი შენობაც ადუღებული წყლისაგან ეშლებათ. სასუფრო კარტოფილი სრულბით ასეთი არ უნდა იყოს; ის უფრო უკეთესია, რომ სქელი კანი და მაგარი ხორცი ჰქონდეს.

— ქარტოფილის გამოსავლის გაბევრება ყვაეილების დაგლეჯით. შიღიხანია რაც იციან ის საშუალება, რომ კარტოფილს არ უშევენ აყვადეს, რომ გამოსავალი ბევრი ჰქონდეს; და თუმცა გამოსავალი ამით ემატება, მაგრამ ჰგონიან იმდენი არაო, რომ ყვაეილების დასაგლეჯათ ხარჯი დახუროს და ამიტომ არა ხმარობენ. მრთი ნემეცური გაზეთი ამ აზრს პოულობს უსაფუძვლოთ: და ამბობს რომ ყვაეილების დაგლეჯა ძალიან უმატებს კარტოფილის მოსავლასო და შრომასაც ღირებულათ აკმაყოფილებსო. შამოეცადნათ ადრეულათ თეთრი კარტოფილი. ამ კარტოფილით დათესილი ადგილის ნახევარზე სამჯერ დაეგლეჯათ ყვაეილები და ნახევარზე არც ერთხელ. რას წამს დაეჭრათ ყვაეილები, მაშინვე იმ ნახევარ ადგილზე მშვენიერათ გაზდილიყო კარტოფილი და ასევე წასულიყო ბოლომდე; როცა კარტოფილი იღებდნენ, ადილათ შეიძლებოდა ეცნა ყვაეილ დაჭრილი ძირები, ამიტომ რომ ღერო უფრო მსხვილი ჰქონოდა. პირველ ნახევარს გამოსვლოდა ხუთასი ფუთი და მეორე ოთხ ასი. ამ საფუძვლით ეს გაზეთი ურჩევდაჭრან ყვაეილები კარტოფილსა და ამ გარემოებასაც უფრო ადევნებს: ყვაეილების და საჭრელათ უნდა ადრე დათესილი კარტოფილ-



აიღონო, რადგანაც ეს უფრო ადრე ყველგანა, ვიდრე ავთ გახდება რითმეო. აგრეთვე ურჩევს რაც კი შეიძლება ადრე დაგლიჯეთ ყვეგილები და სხვა იარაღი არ იხმაროთ, ხელით დაგლეჯის მეტიო; ამითი ვითომც უფრო ცოტა ევნება მოგლეჯისაგან. სამჯერ ყვეგილის დაგლეჯამ მოითხოვა ოც და ორი სამუშაო დღე, რომლისათვისაც მივიღეთ მეტი ასი ფუთი კარტოფილიო.

შიშვილის შიში ახვიტაში.

ნილი უკანასკნელს თავის წყლის საესობაში მგვიტეში არ მივიდა იმ სიმაღლეზე, რომელიც არის საჭირო, რომ გადავიდეს პირებიდან და წანაშის ნახანებები*). 1868 წელს ნილმა აიწისა ძლივს სამ აღლნახეარზე, როდესაც მთელი ნილის ღელის მინდვრების მოწყვეისათვის არის საჭირო ხუთ აღლნახეარზე ამ აღლება. ამიტომ მგვიტეში ძალიან შიში არის შიმშილისა 1869 წელს და მმართველობამაც გასცა ბევრი თესლი და ამ წლის ხარჯიც მორე წლებისათვის გადასდო. მუხობლათ მყოფი ტუნიისიც არ იქნება მგვიტეზედ ბედნიერი.

ბაშის აღება ამერიკაში.

მრთს ამერიკის გაზეთში სწერია. სასამელის უბაჟოთ გაპარებაში ამერიკელებს ხალხი ვერ აჯობებსო, თუკი პატარა სარგებლობა ექნებათო. რადგანაც თუნგზე ორი მანეთი ბაჟი ადევს, ამიტომ გაპარება ძალიან სარგებლო ხდება. შეერთებულ შტატებში ოთხმოც მილიონამდე თუნგი არაყი იხდება; ამიტომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ბაჟისაგან ას სამოცი მილიონი მანეთი. მაგრამ ოც მილიონსაც ძლივს იღებს. ამ გეარათ არაყის გაპარებით ხაზინას ეკარგება ას ორმოცი მილიონი მანეთი. რასაკვირველია ეს აკციზის ჩინოვნიკების უსენინდისობისაგან არის; ესენი ისე დახელოვნებულან წყალში წვერების ჩამალვაში, რომ თუმცა ამოდენა ფულს იპარვენ, მაგრამ თავის—ღღეში ევრენ იჭერს. ამერიკაში არ

*) 1867-ში რუსეთის დასავლეთის გუბერნიებში პური ღებოდა წვიმებისაგან, და აღჭირში სულ გვალვამ აწაწა და მგვიტეშიაც ნილი მაგდენათ ვერ აღიღდა, მაგრამ 1857—58-მდე პრუსიაში წყაროების სულ გაშრა და ნილი კი ძალიან დიდი იყო.

არის იშვიათი, რომ რომელიმე აკციზის მომგროვებელი, რომელსაც წელიწადში ორი ათას ხუთასი მანეთი აქვს ჯამაგირათ, ორსამ წელიწადში შეჭურის ორასიათას მანეთამდე, ან რომელიმე აკციზის ზედამხედავი, რომელსაცა აქვს ჯამაგირი ასოცი თუმანი, ყიდულობს ევება მიწას. მრთი თუნგი არაყი ისყიდება ათ შაურათ, როდესაც ბაჟი ორი მანეთი ღდევს; აქედან ჰსჩანს როგორ წმინდათ უნდა სწარმოებდეს საქმე. მონგრესა დააწესა, რომ რომელი არაყიც თუნგი ორ მანეთზე იაფათ ისყიდება, ის უნდა სახემწიფოთ აიწეროსო, მაგრამ ეს კანონი რჩება აუსრულებლათ. მაჭრებს ფასი აქვსთ გამოცხადებული ორი მანეთი და ოთხი აბაში, მაგრამ ყველამ იცის, რომ ნაკლებათ აძლევენ. წიგნებში სულ კეთილათ იწერება, არაყის მხედლები და აკციზის ჩინოვნიკები უენდებიან, მაგრამ ხაზინა კი ზარალში არის.

ავსტრალიაში ცხვრების მაშინით ბანა.

აქაური გაზეთები გვაცნობენ, რომ ბევრი იქაურნი მემამულენი თავიანთ ცხვარს რეცხენ მაშინ; ბითაო. ამ მოსახლებს არ ეშინიანთ მაშინის სიძვირისაგან (ეს მაშინა ღირს ექვსასი თუმნიდან, ათას სამას თუმნიამდე). ღიდრონი მოსახლე ბი ჰბანვენ ცხვარს თბილის წყლით. ჰერ ცხვრები შედიან თბილის სანინა წყალში, რომლის სითბო არის ორმოცდა სამ გრადუსამდე ცელსისა, მერე ცივი წყლის ჰაუზში გადაჰყავთ; მატყლს ნელ ნელა ხელითა ჰბანვენ და ლულით ზედ წყალს ასხმენ. ამისათვის საჭირო წყალი დგება ჰაუზში, სივალლით ექვსი არშინისა, რომელშიაც წყალს ტუნბოთი ასხმენ; ყველა ლულია დღეში ხუთას ცხვარს რეცხავს.

რუსეთის მატყლით ვაჭრობა.

„საბიჭო ონობებში“ არის მატყლით ვაჭრობის მდგომარება განსაკუთრებით მოსკოვისა 1868 წელსა. „შარშანდღემა ყიამათმა ზამთარმა ბევრი სამხრეთის მირინოსის ფარები დააზარალა, ასე რომ ზოგს მესამედი და უფრო მეტიც დაკლდა. ამიტომ მემამულეებს ცგონათ მეტ ფასათ გაყვიდით მატყლსაო, მაგრამ მატყლი კი წინა წლისაც ბევრი იყო გაუსყიდავი; გარდა ამისა ამ წელს მატყლის ნაკლულევენება არა ჰსჩანდა, ამი-

ტომ რომ დაცვიენილი ცხვრებიც გაჰპარეს. იმათი იმედი გაჰუქმდა. ამის მიზეზი კიდევ ის იყო, რომ დიდრონ საეპრო ადგილებში: ლონდონში, ლივერპულში, ანტერპენში, ზაერში და სხ. ბევრი მატყლი მოიტანეს და ფასები დაეცა. ამასთან ვაჭრობაც მძიმეთ მიდიოდა. ზარდა ამისა ამერიკაში, ავსტრალიაში, ძარგი იმედის ძიდვებდ იმოდენს მატყლსა ჰპარსვენ და ისე კარგი არის, რომ უცხო ქვეყნების მოვაჭრეებო რუსულს მატყლს აღარც კი ყიდულობდენ. რუსეთში შარშან ზამთარში შიმშილიც დაეტანა და მსყიდველები რუსის მატყლის საქონლისა მაგრობდენ; მერე მაშინ ძლივს დაიწყეს სყიდვა; როდესაც ისე დაეცა ფასი, რომ შეუსწორდა სხვა სავაჭრო საგნების ფასსა. მითონ ოდესისი ვაჭრობაც პატარა იყო 1868-ში, რომელიც გზავნის შრანციაში და ბელგიაში რუსულს მატყლსა. ჰუჭყიანი მატყლი, რომელიც ასწორებს რუსეთში მატყლის ფასსა, 1868 ისყიდებოდა ექვსი და ათი შაურიდან შეიდ და ათშაურამდე ფუთი; ეს ფასი 1867 წლის ფასზე ორი მანეთით ნაკლებია. ხერსონის გაურეცხელ მატყლს, რომელიც გარეცხვაში ერთ ჩარექ წონას ჰკარავდა, გარეცხილს 1867-ში ჰყიდდენ ოცდა შეიდიდან, ოცდა რვა მანეთამდე; შარშან კი ოცდა ორათ და ცხრამეტ მანეთათაც ჰყიდდენ. ამასთან შელეშინის მატყლიც, როგორც ისმის ორ თუმნათ გაყიდულა. ზამსყიდავები და მატყლის მრეცხავები ძალიან ცოტასა სჯერდებოდენ და პატარა მოგებასაც იღებდენ. მერე ოკტომბრის უკანასკნელს დღეებში ფუთზე ერთი მანეთიდან მანეთ ნახევრამდე მოემატა; ამისი მიზეზი ის იყო, რომ ხარკოვისა, ბელგოროდისა და მორონევის მატყლები გაურეცხავი დარჩენ, რადგანაც არ იყო საკმარო არც მუშა და არც გასაშრობი ადგილები; ეს მატყლი 1869 წლის გაზაფხულზე ძლივს გაირეცხება. მთუმცა ახლა რუსეთში ძალიან ცოტა მატყლი არის და ვაჭრობაც კარგი არის, მაგრამ მატყლის გამსყიდავები მაინც ეშურებიან გასყიდვას და ფასსაც ბევრს არა თხოულობენ. პირველი ღირსებისა და შუათანა გრეცხილი მატყლის ფასები არიან შემდგენი: პირველი ღირსების, ოცდა თერთმეტი მანეთიდან ოცდა ცამეტ მანეთამდე არის ფუთი.



შუათანა ღირსებისა ოცდა შეიდიდგან ოც და რვა მანეთამდე.

მალალი და მდაბალი ფასი არის იმაზედ დამოკიდებული, თუ როგორი სიკეთისა და როგორი გარეცხილი არის მატყლი. ახლა მატყლი მაგდენი არა არის რა დარჩენილი. ღონის მატყლი 1868-ში ცოტა მოვიდა, ამიტომაც ამითი ვაჭრობა დიდი არ იყო. აქაურ ფაბრიკებში ბევრი მატყლი იყიდეს მაშინ, როდესაც გემით სიარული მოიშალა და ახლა მაგდენი აღარ დარჩენიათ. ბატკნების მატყლი არის ბევრი, მაგრამ ამას არაფერ თხროვლობს. რაც ბატკან ყმობა მოიშალა, მას აქეთ უბრალო მატყლის სიერცე დაეცა, მაგრამ რაკი რკინის გზები გაივლის ყველგან და მოეშლებათ გლეხებს ახლანდელი ურმებით საქონლის ტარების მოგება, მაშინ უთოოთ თავიანთ უწინდელს გზას მოახებენ და დაიწყებენ ცხერის გაშენებას; ეს ამიტომ უფრო კეკაზე ახლოა, რომ მაშინ მატყლის გასყიდვა ძალიან გაადვილდება. ამ თავითვე არის ზოგიერთგან გაყიდული გაურეცხავი პირინოზის მატყლი ექვსი მანეთიდგან ექვს და ათ შაურამდე ფუთში და ბეჭიძ მრეცემულია; ამთ რიცხვში არის გაყიდული კოლონიის მძიმე გაურეცხავი მატყლი და ამიტომ არა მგონია თუ სასარგებლო იყოს მსყიდველებისათვის. რუსეთში 1868 წელიწადი ბოლომდინ თბილი იყო, მაგრამ სამხრეთის მხრებში, საცა უფრო ბევრი მატყლი გამოდის, საქმელი საქონლისათვის ძალიან ცოტა იყო; ამიტომ არა მგონია თუ წლევანდელი ნაპარსი საქმათ იყოს.

— „რუსის მოამბეში“ სწერენ სარატოვიდგან, რომ მკიდნენო, თითქმის ზამთრამდინა რომელიც დადგა ნოემბერშიო. რადგანაც მუშაც აკლდათ და ძვირიც იყო, ამიტომ ზოგი ოკტომბრის გასვლამდინ მკადაო. თუმცა ზამთრამდინ მკეს, მაგრამ ბევრი მოუძველათაც დარჩა; ზოგმა მოძკო, მაგრამ კილოზე ვერ მიიტანა; ბევრი პური დარჩა მიწდორზე შუბულულებული. ასე გვიან იმიტომ კიდ იკებოდა, რომ ნოტიო ამინდსაგან მარცვალი არა ცევიდა. მაგრამ ამ გვარი პური სულ გაფუჭებული არის და თუ კარგათ არ გააშრეს, არცკი დაიფუჭება. პურის გალეწაზე უნდა ესტქვათ, რომ როგორც შემოდგომაზე იყო ძნელი, რადგანაც მუშა არ იშოვებოდა, ახლაც ისევე ძნელი არის. შემოდგომას თვეში მუშას ორი თუმნიდგან სამ თუ-

მნამდე აძლევდნენ და ხარჯიც დამჭერისა იყო; დღიური მუშა კი მანეთათა ღირდა. მუშა ახლა ზამთარშიაც ძვირი არის და გარდა ამისა ძნელიც არის იმათი შოვნა. ზღვებები თავიანთ პურსა ლეწენ და სხვასთან მუშათ აღარ მიდიან. ზარდა ამისა ძნაც ძნელი გასაღეწი არის, რადგანაც დასველებულია. ამიტომ ახლა საღეწი მაშინებისა ძალიან არის მოთხოვნილება. იქაურნი მემაშინებებს ახლა ბევრი მუშაობა გაუჩნდათ და ოთხი ცხენიან საღეწში ორმოც და ათი თუმნიდგან სამოც თუმანს იღებენ. პოკროვის სლაბოდაში ერთი-მეხანკი არის, რომელიც აკეთებს სათორმეტ ცხენო საღეწსა. ზღვებებსაც კი უჭირთ საღეწი მაშინები. თითონ კი ჯერ არა სყიდულობენ, მაგრამ სიხარულითა ქირაობენ და ერთ ფუთ გალწილზე ექვს გროშს აძლევენ. ამ ზამთარს რომ მაშინების დეპო ყოფილიყო გამართული სარატოვში, ბევრს საღეწ მაშინებს გაჰყიდდა. წარსული ზაფხულის მოსავალი კი ძალიან კარგი იყო; მაგრამ მარცვლის სიკეთე კი, ქერისა, ფეტვისა და უგრეხელის მეტი, რომლებიც სხვა პურზე ცოტა ითესება, სხვა პურის ღირსება მაგდენი მალალი ვერ არის; მაგრამ მოგება მოსავლისაგან არც მხენელ მთესველებს და არც ვაჭრებს არა ჰქონდათ, ამიტომ რომ მუშა ძალიან ძვირი იყო.

რუსის სამოსახლო კომისიონერობა.

პეტერბურლის სასოფლო სახლოსნობის კრებამ ნახა, რომ ყოველთვის გაჭირებაში იყვნენ მოსახლეები სასოფლო იარაღების გამოწერისათვის და ამიტომ თავიანთ შორის გამართეს სამოსახლო კომისია, რომელზედაც მიეცათ უზენაესი ნების რთვა; ამ კომისიონრობას ახლა აქეს სამუდამო ადგილი პეტერბურლის სასოფლო სახლოსნობის მუზეში. ამათი ვალდებულება ის არის, რომ ვინცა სთხოვონ, იმათთვის გამოიწერონ ყველა სასოფლო სახლოსნობის საგნები, როგორც: მიწის ზენის იარაღები და მაშინები, თესლი და სხვა სამოსახლო საგნები, გაიფება გამოსაწერი საგნებისა, რჩევისა და დარიგების მიცემა მოსახლეებისა, რომ იმათ მართლათ ვარგისი მაშინა გამოიწერონ, რომელნიც არიან გამოცდილნი. ამ საფუძვლით კომისიონ-

რობამ დაიწყო მოქმედება 1866 დგან. ამ ხანში კომისიონრობას არ უძებნია თავისი საკუთარი სარგებლობა და სულ საერთო სასარგებლო საქმეზე უელოია. რადგანაც ახალი გამართული იყო, ამიტომ პუბლიკა სამყოფათ ვერ გააცნო თავის მოქმედებასთან; ეს ამიტომ რომ გაზეთებში გამოცხადება ძალიან ძვირი არის. ახლა კი შეუდგა მოკლე სის შედგენას იმ იარაღის და მაშინებისათვის, რომელნიც არიან იმის ხელში. ამ სიაში იქნებიან აღწერილნი მხოლოდ ის იარაღები, რომელნიც თავიანთის სიაფით, მუშაობაში სიკეთით და გამოცდით კარგნი არიან.

ამ გვარი კარგი მაშინების ჩვენება კომისიონერობას იმიტომ შეუძლიან, რომ სასოფლო სახლოსნობის მუზეისთან ერთ სადგომში იმყოფება და იმისი რჩევისთაც სარგებლობდა მაშინების გამოწერაში; აგრეთვე ბევრსა შეელოდნენ მხენელ მთესველნი, რომელნიც მაშინებს ჰსციდნენ და შემოჰქონდათ თავიანთი აზრი.

კომისიონრობის მოქმედების პროგრამა არის შემდეგი:

- 1) მასყიდვა სასოფლო სახლოსნობის იარაღებისა, მაშინებისა და სხვა სამოსახლო საგნებისა, რომელნიც არიან იმის ხელში.
- 2) გამოწერა სამძღვარს გარედგან იმ იარაღებისა და მაშინებისა, რომელსაც მოითხოვენ.
- 3) ს.მუდამო გამოფენის გამართვა გასასყიდი იარაღებისა, რომელნიც არიან რუსის მენიკურ ქარხნებში გაკეთებულნი.

შენიშვნა: გამოფენა და გასყიდვა იარაღებისა გასხილია ყოველდღე ათი საათიდგან ოთხ საათამდე, დღესასწაულთ გარდა.

4) ქარხნებისაგან მიიღებენ ნიეთებს გასასყიდათ, რომ პატარა სარგებელი მისცენ. ზარდა ამისა ამ კომისიონერობიდგან შეიძლება მიიღონ სხვა და სხვა რჩევები, გამოიწერონ სამოსახლო წიგნები, გაზეთები; ამასთან გამოიწერონ კარგი მოურავები, იშოვონ მოიჯარეები, მწერლობი, მაშინისტები, მებაღეები, მძროხე—მეცხერეები და სხვა საქირო პირნი სოფლის სახლოსნობისათვის.

საკვიმოო ცნობა
ჩამბა დედათათვის ჰმავნილის აღზდაში.
მოვლა ახალი დაბადებულისა და ძუძუთა ყმაწვილისა.
მიღრე შეუდგებოდე იმ საფუძვლების აღწე-



რას, რაც არის საჭირო ახალი დაბადებული-სათვის, მე აღწერე იმ ენებათა, რომელსაც მიაყენებენ ხოლმე ახალ დაბადებულს მრავალნი გარშემორტყმულნი პირნი, რომელნიც შეიყრებიან ამ ღრვს მელიოგინის ოთახში. ამ ოთახში დედის გარდა, რომელსაც ნამდვილათ კეთილი სურს თავის ყმაწვილისათვის და არკი იცის, არ არის გამოცდილი, როგორ მოიქცეს, შეიყრებიან ხოლმე მთელი გროვა ბრიყვები, ირევიან, ვითომც უნდა უშველონ რასმეში, მაგრამ საქმეზედ კი გული არა აქვსთ და ვერც რასმეს უკეთებენ. ეს დედა კაცთა კრება შესდგება ბებიებისაგან, გამზდელისაგან და ზოგიერთი მახლობელი ან შორეული ნათესავთაგან და კეთილ მოსურნეთაგან; ესენი საბრადლო უგონო ყმაწვილს ხან რას უშვებენ ხან რას და ათას ნაირ ჯადოებსაც. უზმენ სულ ეს პატივცემულნი პირნი მოურიდებლათ შეიყრებიან მშობიარეს ოთახში და ლაპარაკობენ ბალიშთან, აძლევენ რჩევას და ეინიცის რას ყბედობენ, დადიან — ერთის სიტყვით ისე აწუხებენ ახალ დაბადებულსა და მშობიარესა, რომ გამოუთქმელი არის; ერთის სიტყვით ამ საწყლებს არ აძლევენ იმ საჭირო შესვენების დროსა, რომელიც საჭირო არის ორთავესათვის, და რომელიც სრულებითა აქვს ყვოლა პირუტყვსა.

ამ ზემო აღწერილთ პირთაგან მხოლოდ ბებიებზე ვილაპარაკებ, რომელთაც უჭირავთ ამ დროს განსაკუთრებითი მდგომარება და რომელთაც ხალხი აწერს დედაკაცების და ყმაწვილების ავთამყოფობის ცოდნასა.

დიდი ხანია რაც არის ხალხში, რომ თუ მშობიარება არ არის ძალიან გაძნელებული, მაშინ ჰეკიმს არ ეძახიან, რომელთაც კარგათ იციან მშობიარებისა და ყმაწვილების მოთხოვნილება, და მოჰყავთ მხოლოდ ბებიები. რომელთაც სრულდებით არ ფერი არა გაიგებთრა როგორ უშველონ ან ერთსა და ან მეორესა. ამ საზიანო ჩვეულებას, რომელიც არც ანგლიაში და არც ამერიკაში არ არის, პირველ დღეებშივე მოსდევს მშობიარებისა და ყმაწვილების ავთამყოფობა.

ამ ბებიებზე თუცა არაფერი არა იციანრა, მაგრამ იღებენ ხოლმე ვალათ ყოველიფერში უშველონ ჰეკიმის ურჩევლათ დედასაც და ყმაწვილსაც. რასაკერაეღია ეს ყოველთვის საუბედუროთა თავდება ხოლმე. ამათ შეუკრეფათ ზოგიერთი უსარგებლო ცნობები

და თავიანთი თავი ჰეკიმებათ ჰგონიათ; თუმცა საჭიროება არ მოითხოვს, მაგრამ ისინი აძლევენ რჩევებს, წამლებს და ისეთი ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მდგომარებაც ავთამყოფობა ჰგონიათ რამ და ეტანებიან მიეცეთ რამ წამლიო; და თუ ჰეკიმი ეტყვის, რომ ამას არაფერი წამალი არ უნდაო, მაშინ დაუწყებენ იმას კიცხვას, კორვას და სხ.; ამ გვართ კვეხნით და სხვათა მოტყუებით ხალხში აგრცელებენ ძალიან ცუდს ჩვეულებასა. საზოგადოებასაც არეცი რათა სწამს, რომ ბებიებმა იციან მშობიარესი და ყმაწვილის მოვლა და რჩენაო. პირველათ იმათთან უფრო მივლენ ხოლმე გაჭირებაში, ვიდრე დახელოვნებულ ჰეკიმთან. მაგრამ ამ იუბკეში შარლატენების ცოდნა ჰეკიმობისა შესდგება მხოლოდ იმაში, რომ მოუგროვებიათ ჰეკიმისაგან მიცემული რეცეპტები და მაგრათ დაუმალოთ. მერე ამ სიგნატურებით გაკეთებული წამლით ყველას აძობენ, თუნდა იმისთვის საჭირო იყოს თუნდა არა. *) ხანდისხან ბებიებსა ჰყავთ მეგობარი ჰეკიმები, რომლებსაც გამოსტყუებენ ხოლმე ღონიერი წამლების რეცეპტსა, როგორნიც არიან ოპიის წენი და სხვა; ამათა აქვსთ საკუთარი აფთიექები ამ ნაგარი წამლებისა და მერე ხმარობენ რაცკი შეუძლიანთ; იმას კი არა კითხულობენ ადგილს თუ უადგილოთა ფანტევენ ამ წამლებსა. ბევრს წილზე ამბობენ ეგებ ის მორჩესო. თუ უბედურება მოხდება ხოლმე, რომელიც არ არის იშვიათი, მაშინ მოესწრობა მფარველი და გამოიყენან გაჭირებულს. იპიტომაც უთქმენ სახელს თავიან მფარველებს!

როგორც უნდა იყოს, მაინც ამისაგან დიდი უბედურება ხდება ხოლმე. მშობიარე ბებიების წამლებით ან წყენას მიიღებს ხოლმე, ან რჩენის კარგს დროსა ჰკარგავს; ყოველთვის კი ესა ხდება, რომ ყმაწვილსა და მშობიარეს აკლიათ რიგიანი მოვლა და ამისაგან ჰკარგვენ ორნივე სიმთელესა.

საბებიო ინსტიტუტებშიაც კარგს არა ჰსიდიან, რომ პირდაპირ აკუშერობის კურსს უკითხავენ; ამის კარგათ გაგებისათვის საჭირო

*) ქანონი თუმცა არ აძლევს ნებას აფთიექებს, რომ იმათ სიგნატურებით წამალი აძლიონ ვსმეს, თუ ყოველთვის ჰეკიმს ხელი არ ეწერება ზედ, მაგრამ ეს კანონი მაგდნათ ვერა სრულდება.

არის, რომ იცოდნენ ფიზიოლოგია — ანატომია და ფიზიკა; და ბებიათ რომლებიც ემზადებიან იმათ მხოლოდ წერა კითხვის მეტი არა იციან რა. ამგვარი ხალხისათვის ის უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ, ვიდრე აკუშერობის კურსს უგდონ ყური, ისწავლონ ან როგორ უნდა გაუსწორონ ლოგინი მელიოგინესა, ან როგორ გააბანონ და სხვა; ახლანდელი ინსტიტუტებიდან გამოსულნი ბებიები, დადილოეზებულები; სრულდებით არ არიან მომზადებულნი თავიანთი საქმისათვის; ისინი გვერთ ვერ უსხდებიან მელიოგინესა და აკუშერობის ცოდნისაც თავში არაფერი არა დარჩენიათ რა, სულ გაჰფანტეთათ; რა ვიცი იქნება რამ სიზმარივით ასხოდდეთ, მაგრამ ვერაფერს რიგზე ვერა ხმარობენ, სულ შეცდომას, სულ უწყსოთ მოხმარებას იჩენენ. მსენი სრულდებით არ ერჩევიან უბრადლო ბებიებისაგან და მეჯადოებისაგან.

ძარგს ბებიებს ეს ინსტიტუტები მაშინ გაზღიდა, როდესაც იმათ გავერცელებინათ ბებიების კურსი და სასმენლათ მოეშოთ მხოლოდ ის ქალები, რომელთაც ჰქონდათ საკმაო საერთო სწავლა. მაგრამ საკმაო ბებიებზედ.

ამ გვართ ყმაწვილს პირველს დღეებშივე ეძლევათ მიზეზები, ბებიების უცოდინრობისაგან, რომ შემდეგში იყოს ან სნეული ან სრულდებით დაჰკარგოს სიცოცხლე. მინ არ იცის როგორ მდგომიერებაში იმყოფება ყმაწვილი, რომელიც გულწასული იბადება; უცოდინართ ბებიებს ჰგონიათ, თუ ცოტას ხანს ხმა ვერ ამოაღებინეს, უთუოთ მკვდარიო. მაგრამ ყმასვილის ხსნა არის დამოკიდებული ზოგჯერ მოუღლებლს შრომაზედ, რომ ეგები პირველი სიცოცხლის ნაპერწკალი როგორმე აუნთოთო. რამდენჯერ უხსნიათ ის ყმაწვილი, რომელიც დაბადების შემდეგ რამდენიმე საათი დებულა უგონოთ და უძრავათ.

ეს უნდა ყველას ახსოვდეს, ვინც მშობიარობას ესწობა; თუ ყოველივე ღონის ძიება არ იხმარა ყმაწვილის გონში ჩაგდებისათვის, მაშინ დაედება იმის სინიდისს დიდი ლაქა.

პირველი ნიშანი სიცოცხლისა ყმაწვილისათვის არის სუნთქვა; ვიდრე არ ამოუსუნთქავს, ყმაწვილი არის მკვდარი. მაშასადამე ყველა დამსწრე უნდა ხმარობდეს ყოველ ღონისძიებას, რომ ყმაწვილმა მალე ამოისუნთქოს.

აქ არ იქნება უადგილო აწვევით ის სა-
შუალებები, რომლითაც ყმაწვილს ამოაწე-
ნთქებინებენ ხოლმე. შმაწვილს მუცელზე
სდებენ, რომ პირიდან და ყელიდან წყალი
წამოუვიდესო და ჰაერს არ უშლიდეს ფილ-
ტრში შესვლასაო. პირზე და სხვა კანზე შეა-
სხმენ ცივ წყალს, რომ კანის ძარღვები მო-
იყვანონ მოკმედებაში; ეს ძარღვები ძალიან
შველიან სუნთქვას. ცდილობენ სუნთქვას
დაამსავსონ, ასე რომ ასწვიენ ხოლმე და
ისევე მუცელზე დასდებენ; ხელს დააჭერენ
ნელა ზურგზე. მერე გვერდზე დააჭერენ და
გადმოაბრუნებენ ცოტათი ზურგზედ. აგრე-
თვე სასარგებლო არის, რომ ფეხებში ნელ-
ნელა მოუჭირონ და ზეით ამოჰყენენ ასე;
ეს ამიტომ რომ სისხლი გულისაკენ მიდის
და სისხლის ტრიალს აღვიძებს. ზაჭირების
დროს სდგას ორი ჭურჭლით თბილი და ცივი
წყალი; ყმაწვილს ხან ერთში და ხან მეორე-
ში სმენ; ეს საშუალება ძალიან ნამდვილი
და ღონიერიც არის სუნთქვის დაწყებისათვის.

როდესაც ბევრი სისხლი აქვს ყმაწვილს
წამომდგარი თავში (ესა ჰსჩანს როდესაც ლუ-
რჯათ უცემს სახე), მაშინ ჰიბიდან ორიოდ
კოვზი სისხლი რომ გამოუშონ ძალიან კარ-
გი არის; აგრეთვე მარგებელია ცივს წყალში
დასველებული ტილოს დადება თავზე. ამას-
თან ზემო აღწერილნი საშუალებანიც უნდა
აღსრულდეს.

პირში ჩაბერვა, თუნდა პირი პირს დაადონ
და თუნდა სხვა იარაღით, არ არგებს და მა-
ენებელიც არის ყმაწვილისათვის. ისე უნდა
იმოქმედონ ახალი დაბადებულის ფილტვზე,
რომ ჰაერი თითონ ჩაეიდეს. ზემო აღწერი-
ლის საშუალებები საკმარისნი არიან ამისა-
თვის.

ზარდა ამისა კიდევ სხვა საშუალებასაც
ხმარობენ; სხვა და სხვა მალე გასაშრობს
სისველებებს აწვეთებენ მუცელზე და გულზე,
და ბურნუთსაც ასუნებინებენ; მაგრამ რადგა-
ნაც ეს საშუალებები უფრო სუსტნი არიან
ვიდრე ზეით აწერილნი, ამიტომ ამათ აღარ
გამოვიკვლევ.

ამ უკანასკნელს დროს ყველა დარწმუნდა,
რომ ელექტრი *) უპირველესი საშუალება არის

მიმკვდარებული ყმაწვილის გონზე მოყვანისა-
თვის; ელექტრი ისე მოქმედებს კანის ძარღ-
ვებზე, რომ რას წამს გაივლოს ტანზე, მაშინვე
ამას მოსდევს თანასწორო სასუნთქავე კუთ-
ნების მოხრეშტვა და გაშლა, ასე რომ ყმა-
წვილის სხეული თითქო სუნთქამსო, ისე მო-
ძრობს. ელექტრი უნდა მიმართოთ გულის
კოვზთან და კისერთან. ელექტრი პერნიცე
ამბობს მიმკვდარებული ყმაწვილი ვერ თბილი
წყალში უნდა ჩასონ და ყელიდან მოაცი-
ლონ თეთრი ტლივო. მერე თბილს ფლანელ-
ში ან საბანში უნდა გაახვიონ და თავი უკან
გადაუწიონო. ითუ სხეული გაუცივდეს, მაშინ
სჯობს კიდევ ჩასონ თბილს წყალში. მერე
ელექტრის იარაღებით იმოქმედონ, მაგრამ
ღონიერი იარაღი კი უნდა იყოსო. სუსტი
ელექტრის იარაღები კი ვერაფერს შეელოი-
ნო. ელექტრი შებიაკინიც აი რას ამბობს
ამ საგანზე: ხანდისხან ელექტრით მოქმედება
მიმკვდარებულ ყმაწვილზე კარგა დიდს ხანს
უნდა იყოსო; ზოგჯერ სამი ჩეთვერი საათი-
დგან, საათნახევრამდე უმოქმედნით და ყმაწვი-
ლი მერე სრულდებით მობრუნებულაო. ელექ-
ტრით ყმაწვილზე უნდა იმოქმედონ ასე: ვერ
მიუშონ ელექტრი სხეულზე და მერე შეწყვი-
ტონ. მიშვებასა და შეწყვეტის შუა იმოდენი
ხანი უნდა დარჩეს, რამდენიც რჩება კარ-
გა მყოფი კაცის შესუნთქვაში და გამოსუნთ-
ვაში, ე. ი. ორი სექუნდი. მაგრამ რაკი ელექ-
ტრი შესუნთქვინებს ხოლმე სხეულსა, მა-
შინ უნდა გამოასუნთქონ ხოლმე. ამისა-
თვის ყველაზე უმჯობესი არის დაჭირონ მუცელ-
ზე ხელი, ასე რომ ქვედად ზეით აუწიონ. ამ
გვარს ქვევაში უნდა შესდგებოდნენ ხოლმე
და თვალს ადევნებდნენ, ხო არ დაიწყო ყმა-
წვილით თითონ ქმენა. ითუ დაიწყო ქმენა
და მერე კი ისევ შესწყდა, მაშინ ისევ ელექ-
ტრით მაშინვე უნდა იმოქმედონ და მუცელ-
ზედაც ხელი უნდა დააჭირონ.

რადგანაც ეს არის ძალიან ნამდვილი და
ღონიერი საშუალება მიმკვდარებული ყმაწ-
ვილების გონზე მოყვანისა, ამიტომ იმდენი
მაქვს, რომ მშობლებმა დაუძახონ ხოლმე
ელექტრებს მშობიერობის დროს და სთხო-
ვონ, რომ ელექტრის მაშინაც თან წამოი-
ლოს; ეს ამიტომ უფრო არის საჭირო, რომ
ხანდისხან გაჭირება არაფერში არის მშობიერ-
ობის დროს, მაგრამ ყმაწვილი მაინც მიმ-
კვდარებული იბადება. და არც ძნელი არის
ამისი ასრულება, ამიტომ რომ ახლა ელექ-
ტრის მაშინები იაფიც და ძალიან გავრცელებ-
ულიც არის ჰეკიმებში.

აქ მომატებული არ იქნება შენიშნაოთ,
რომ ახალი დაბადებულების მიმკვდარების
მიზეზი არის უდროოთ, სწრაფათ მოწყვეტა

როდესაც ლაქას ვაგებავთ აბრეშუმის ხელცახოვზე, მა-
შინ იმას ეძლევა ელექტრი. ეს იმითა სჩანს, რომ
წერილ მტვერს ან ქალღლი ნაჭრებს ლაქა მიიკრავს
ხოლმე მაგნიტივით შორიდგან. ასლა არის გამართუ-
ლი იარაღები, რომლებმაც ბევრს ელექტრის იღებენ.

იმისი დედის სტომანქიდან — და ჰიბის ჩქარა
შეკვრა. სტომანქიდან ძოშორებებს ქმედება
ნება არის ხოლმე კარგი საშუალებები აქედან
დაბადებულის სიმთლიანისათვის და ეს რომ
სრულდებოდეს, მაშინ დაცოტავდებოდა ყმა-
წვილების ამ დროს სიკვდილი.

ამ საგანზე პატა ვერცლათ იმითამ ვილა-
პარაკე, რომ მომეტანა ყმაწვილებისათვის სა-
რგებლობა; ეს აგრეთვე სასარგებლო არის
დედებისათვის, რომლებიც თუ ზემო აღწე-
რილს საშუალებას იხმარებენ, მაშინ მოშორ-
დებიან იმ ძნელს სიმწუხარესა, რომელსაც
ედლევიან ყმაწვილზე ტრილიში. ამ დროს
ყმაწვილზე მწუხარება მით უფრო ძნელია,
რომ იმოდენი ტანჯვა გამოუვლიათ დედებს
და მოლოდინიდანაც რჩებიან უნუყვმოთ

ს ა ე ა ქ რ ა ა მ ბ ე ბ ი .

ქ ა ზ ა ნ ი, თ ე ბ ე რ ე ლ ი ს 15-ს. უკან-
სკენს დროს ვაჭრობა მხოლოდ არქანოი
პურისა იყო; სხვა სულადისა მაგდენი არ იყო.
მომოცდა ათი ათასი ჰილოფი ფქვილი გაი-
ყიდა სამაისოთ, რომელიც რიბისკში უნდა
წაიღონ, თითო ჰილოში ხუთი მანეთიდან ხუთ
და თმურამდე და სამ აბაზამდე, მაშის შესა-
რთავში ოთხ და სამ შურამდე, მენიონო-
გაროდში ხუთი მანეთიდან ხუთ და უხლო-
თუნათ ერთი ჩეთვერი. შიგ ქალაქის მიდენ-
ებზე არქანოვის ფქვილი იყიდება ფუთი რვა
უხლოთნიდან ცხრა აბაზამდე; შერივა (обесъ)
ქვეს უხლოთნიდან ოცდა თერთმეტ შურ-
ამდე; უგრენელა (грена) ორიდან ორდა
ხუთ შურამდე; მუხუნლო ერთ ნახევრიდან
ორ მანათამდე ფუთი. პური ცოტა შემოდი-
ოდა ამ დღებში, რადგანაც კული ამინდი
იყო.

ქ ა ლ ო მ ნ ა (მ ო ს კ ო ვ ი ს ა ხ ლ ო ს),
თ ე ბ ე რ ე ლ ი ს 18-ს. მიედინე უკანასკნელს
დღებში ძალიან ცოტა პური მოდიოდა; ფა-
სები: საშუალოთნი ფუთი არქანოვის ფქვი-
ლისა, ხუთ ფუთ ნახევრიანი ჩეთვერი შერი-
ვამ და ხუთ შურათ, ხორბალი რვა მანეთი-
დან ერთ თუმნამდე, უგრებელის ბრინჯი
შვიდიდან რვა მანეთამდე ჩეთვერი.

პ ე ტ ე რ ბ უ რ ლ ი, თ ე ბ ე რ ე ლ ი ს 18-ს.
წარსულს კვირაში ხელათ და საშემდეგოთ
პურის ვაჭრობა არ იყო ბირჟაზე. სელის თე-
სლი გაიყდა, მაგრამ ცოტა; სულ გაიყდა
ხელათ და საშემდეგოთ სამაის — თიბათე — მა-
რიამობისთვით თორმეტი ათასი ჩეთვერი ნა-
ლზე, თერთმეტი და ხუთი შურადგან ათ
შურამდე, და საშემდეგო სამაისო და სათი-
ბათოთ თორმეტ მანეთათ და სამარიამობის-
თვით თერთმეტ და თხუთმეტ შურათ; ბე-
ჭათ იძლევიან ხუთ — ექვს — რვა მანეთს ჩეთვე-
რზე. ზღვის პირიდან მოთხოვნილება პატა-
რა იყო